

# B3

## ევროკოდები და სამშენებლო პროდუქცია

# CE



DG წარმოებისა და ინდუსტრიის  
გაერთიანებული კვლევითი ცენტრი

**Eurocodes** ▶  
Building the future

ეს ბუკლეტი შემუშავდა

გაერთიანებული კვლევითი ცენტრის მიერ (JRC)

ხელშეკრულების ფარგლებში,

მრეწველობისა და ინდუსტრიის გენერალურ დირექტორატსა და  
გაერთიანებულ

კვლევით ცენტრს შორის,

რომელიც ეხებოდა ევროკოდების დანერგვის მხარდაჭერას, ჰარმონიზაციას  
და შემდგომ შემუშავებას.

ბუკლეტში მოცემული ინფორმაცია არ არის აუცილებელი ასახავდეს ევროკომისიის  
ოფიციალურ პოზიციას  
JRC 61692

© ევროპული გაერთიანება, 2010

რეპროდუქცია დასაშვებია მხოლოდ თავდაპირველი წყაროზე დაყრდნობით.

ეს ბროშურა ხელმისაწვდომია ინტერნეტის შემდგომი მისამართიდან:

<http://eurocodes.jrc.ec.europa.eu>

Eurocodes – ვაშენებთ მომავალს  
DG ENTR, სამშენებლო სექტორი  
CEN  
EOTA  
NANDO

<http://eurocodes.jrc.ec.europa.eu>  
[http://ec.europa.eu/enterprise/construction/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/enterprise/construction/index_en.htm)  
<http://www.cen.eu>  
<http://www.eota.eu>  
<http://ec.europa.eu/enterprise/newapproach/nando>

# 1. ევროკოდები

## 1.1. ევროკოდების კომპლექტი

ევროკოდები არის ევროპული სტანდარტების კრებული შენობებისა და ნაგებობების დაპროექტებისათვის, სამოქალაქო სამშენებლო სამუშაოებისათვის და სამშენებლო მასალებისათვის.

EN 1990	ევროკოდი: კონსტრუქციის დაპროექტების საფუძველები
N 1991	ევროკოდი 1: კონსტრუქციებზე ზემოქმედება
EN 1992	ევროკოდი 2 : ბეტონის კონსტრუქციების დაპროექტება
EN 1993	ევროკოდი 3: ფოლადის კონსტრუქციების დაპროექტება
EN 1994	ევროკოდი 4: კომპოზიციური ფოლადის და ბეტონის კონსტრუქციების დაპროექტება
EN 1995	ევროკოდი 5: ხის კონსტრუქციების დაპროექტება
EN 1996	ევროკოდი 6: ქვის/აგურის კონსტრუქციების დაპროექტება
EN 1997	ევროკოდი 7: გოლტენიკური დაპროექტება
EN 1998	ევროკოდი 8: სეისმომდებელი კონსტრუქციების დაპროექტება
EN 1999	ევროკოდი 9: ალუმინის კონსტრუქციების დაპროექტება

ევროკოდები

ევროკოდები ამომწურავად მოიცავს კონსტრუქციების დაპროექტების საფუძველს, კონსტრუქციებზე ზემოქმედებებს, უმთავრეს სამშენებლო მასალებს და შენობა-ნაგებობების დაპროექტების ყველა ძირითად სფეროს და კონსტრუქციებისა და მასალების ფართო სპექტრს.

## 1.2. ევროკოდები და ევროკავშირის კანონმდებლობა

ევროკოდები არის რეფერენტული დოკუმენტი, რომელიც აღიარებულია ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) მიერ შემდეგი მიზნების შესასრულებლად:

- შენობებისა და ნაგებობების შესაბამისობის დასამტკიცებლად იმ არსებულ მოთხოვნებთან, რომელსაც სამშენებლო პროდუქციის დირექტივა ითვალისწინებს (საბჭოს დირექტივა 89/106/EEC), კერძოდ შემდეგი მოთხოვნები: აუცილებელი მოთხოვნა1 (ER 1) მექანიკური სიმტკიცე და სტაბილურობა, ER 2 - ხანძრის დროს უსაფრთხოება, ER 4 - გამოყენების დროს უსაფრთხოება.

ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია (EFTA) მთავრობათაშორისი ორგანიზაციაა, რომელიც ხელს უწყობს თავისუფალ ვაჭრობასა და ეკონომიკურ ინტეგრაციას ოთხ წევრ ქვეყანაში: ისლანდიაში, ლიხტენშტეინში, ნორვეგიასა და შვეიცარიაში.

უნდა აღინიშნოს ის, რომ მიმდინარეობს სამშენებლო პროდუქციის დირექტივის დახვეწა.

- საზოგადოებრივი სამშენებლო სამუშაოებისა და შესაბამისი საინჟინრო მომსახურების კონტრაქტებისთვის სპეციფიკაციების შექმნის საფუძვლად დადება. ეს ეხება საზოგადოებრივი სამუშაოების, მათთვის საქონლის და მომსახურების მიწოდების კონტრაქტებისთვის პროცედურების კოორდინირების დირექტივას (ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2004/18/EC).
- ჩარჩო სამშენებლო პროდუქციისათვის ჰარმონიზებული ევროპული სტანდარტების (hEN) და ევროპის ტექნიკური ატესტაციების (ETA) შექმნისათვის .

## 2. სამშენებლო პროდუქციის დირექტივა (CPD)

### 2.1. აუცილებელი მოთხოვნები

სამშენებლო პროდუქციის დირექტივა მიზნად ისახავს ნებისმიერი ხელოვნური სავაჭრო შეზღუდვების მოხსნას და მოიცავს ბაზარზე არსებულ პროდუქციას.

სამშენებლო პროდუქციის დირექტივის თანახმად სამშენებლო პროდუქცია განმარტებულია შემდეგნაირად: „ ნებისმიერი სახის პროდუქცია, რომელიც წარმოებულია სამშენებლო სამუშაოების გათვალისწინებით და მოიცავს როგორც შენობა-ნაგებობებს, ასევე სამოქალაქო სამშენებლო სამუშაოებს”.

სამშენებლო პროდუქციის დირექტივის თანახმად, სამშენებლო პროდუქცია, რომელიც გამოიყენება სამშენებლო სამუშაოებში, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ექვს აუცილებელ მოთხოვნას (ER):


- მექანიკური სიმტკიცე და სტაბილურობა;
- ხანძრის დროს უსაფრთხოება;
- ჰიგიენა, ჯანმრთელობა და გარემოს დაცვა;
- მოხმარების უსაფრთხოება;
- დაცვა ხმაურისგან;
- ენერჯის ეკონომია და სითბოს შენარჩუნება.

### 2.2. CE მარკირების მეთოდები

სამშენებლო პროდუქციის დირექტივა ეფუძნება 4 ელემენტს:

სამშენებლო პროდუქცია შეიძლება მოიცავდეს კონსტრუქციულ მასალებს, შემადგენელ ნაწილებს, ასევე მზა ელემენტების კრებულებს, რომლებიც შედგება კონსტრუქციული კომპონენტებისაგან

1. **ტექნიკური სპეციფიკაციების სისტემას**- რომელიც წარმოადგენს ჰარმონიზებულ ევროპულ სტანდარტებს და ევროპის ტექნიკურ ატესტაციებს (*იხილეთ 4 სექცია*).
2. **შესაბამისობის ატესტაციის შეთანხმებულ სისტემას** პროდუქციის თითოეული სახეობისათვის, რომელიც შეიძლება მოიცავდეს მესამე მხარეს (ნოტიფიცირებული ორგანო) შესაბამისობის შესაფასებლად (*იხილეთ 5 სექცია*).
3. ჩარჩო **ნოტიფიცირებული ორგანოსათვის** (*იხილეთ 6 სექცია*).
4. **CE მარკირებას** სამშენებლო პროდუქციისათვის, რომელიც ეფუძნება პროდუქციის ტექნიკური სპეციფიკაციის დებულებებს (*იხილეთ 7 სექცია*).



ევროკოდების გამოყენება პროდუქციის CE მარკირებისათვის სამშენებლო პროდუქციის დირექტივის (CPD) შესაბამისად.

### 3. ევროკოდები და სამშენებლო პროდუქცია

#### 3.1. ევროკოდები და ტექნიკური სპეციფიკაციები

ტექნიკური თვალსაზრისით ევროკოდები მოიცავს აუცილებელ მოთხოვნებს და გამოიყენება პროდუქციის მახასიათებლის დადგენისათვის ამ მოთხოვნებთან მიმართებაში.

ტექნიკური სპეციფიკაციები (hEN და ETAs) სამშენებლო პროდუქციისათვის:

- პროდუქციისათვის ყველა აუცილებელი საექსპლუატაციო ღირებულებების უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია საპროექტო სამუშაოებში ევროკოდების გამოყენებისათვის;
- პროდუქციისათვის გათვალისწინებული მახასიათებლის განსაზღვრა საექსპლუატაციო ღირებულებების შესაფასებლად ისე, რომ შესაძლებელი გახდეს მისი უშუალო გამოყენება ევროკოდებში;
- პროდუქციის აღიარებული საექსპლუატაციო ღირებულებების შეფასება და გამოხატვა ევროკოდებთან შეთავსებით.

პროდუქციასა და დაპროექტების სტანდარტებს შორის შეთანხმებულობის მისაღწევად ევროკოდები:

- ითვალისწინებს ტექნიკურ დეფინიციებსა და ტესტირების მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება პროდუქციის საექსპლუატაციო ღირებულებების შესაფასებლად, სხვა ან დამატებითი შეფასებების გარეშე;
- უზრუნველყოფს ნორმების პროდუქციის აღიარებულ საექსპლუატაციო ღირებულებების რეგულირებისათვის ამა თუ იმ კონკრეტული სამუშაოებისათვის (წილობრივი უსაფრთხოების ფაქტორები);
- უზრუნველყოფს ნორმების გამოყენებას ამა თუ იმ კონკრეტულ სამუშაოებში პროდუქციის გამოყენებისათვის.

#### 3.2. ევროკოდები და CE მარკირება

როდესაც ხდება პროდუქციის თვისებების აღიარება CE მარკირებისათვის, წინაწარ გათვალისწინებულია 3 მეთოდი:

1. მასალისა და პროდუქციის თვისებებისა და შემადგენელი ნაწილების გეომეტრიული მახასიათებლების მაჩვენებელი. მასალის თვისებების გეომეტრიული მახასიათებლების საფუძველზე შესაძლებელია კონსტრუქციული კომპონენტების დაპროექტება ევროკოდების



უსაფრთხოების დონე დადგენილია ნაციონალურად განსაზღვრული პარამეტრებით წევრი სახელმწიფოების მიერ; ეს ნიშნავს იმას, რომ საანგარიშო სიდიდეები განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნებში.

გამოყენებით, რაც იძლევა სამშენებლო სამუშაოებში მისი ადეკვატურობის შემოწმების შესაძლებლობას.

2. მასალის თვისებების განსაზღვრა ევროკოდების მეშვეობით, საკუთარი ან საანგარიშო სიდიდეებით. ეს არის უმთავრესი მეთოდი, რომელსაც ევროკოდები იყენებს სამშენებლო პროდუქციის მექანიკური სიმტკიცის, ხანძრის მიმართ გამძლეობის დასადგენად.
3. კონსტრუქციული კომპონენტი ან ნაკრები გამოიყენება დაპროექტების დეტალებთან შესაბამისობაში, რომელიც წარმოდგენილია დამპროექტებლის მიერ (ეფუძნება ჰარმონიზებული გამოთვლის მეთოდებს, ევროკოდებს) დამკვეთის მითითებების შესაბამისად.

CE მარკირების მიერ აღიარებული პროდუქციის საექსპლუატაციო თვისებები არის გამოთვლისათვის საჭირო მონაცემები, რომელიც აუცილებელია ევროკოდების შესაბამისად კონსტრუქციის დაპროექტებისთვის.

#### **4. ტექნიკური სპეციფიკაციების ევროპული სისტემა**


---

ჰარმონიზებული ევროპული სტანდარტები (hEN) და ევროპის ტექნიკური ატესტაციები (ETAs) წარმოადგენს ტექნიკური სპეციფიკაციების სისტემას.

ევროპის ტექნიკური სპეციფიკაციები სამშენებლო პროდუქციისათვის მოიცავს პროდუქციის ყველა მახასიათებელს. ისინი უზრუნველყოფენ ამ მახასიათებლების შემოწმებისა და შეფასების მეთოდებს საექსპლუატაციო ღირებულებების სხვადასხვა დონის ან კლასის გათვალისწინებით.


პრივილეგიური მეთოდს წარმოადგენს ჰარმონიზებული ევროპული სტანდარტები, მაგრამ სადაც მისი გამოყენება შეუძლებელია, მაშინ შეიძლება ევროპის ტექნიკური ატესტაციების გამოყენება.

ტექნიკური სპეციფიკაციების ავტორების მიერ გათვალისწინებული უნდა იქნას ევროკოდების გამოყენების ტექნიკური ასპექტები, რათა მოხდეს სრული შეთავსება პროდუქციის მახასიათებელსა და ევროკოდებს შორის.



**hEN**

- ⇒ ზოგადი სპეციფიკაციები
- ⇒ პროდუქციის მთელი სახეობისათვის გამოსაყენებელი დიდი მასშტაბით ახდენს გავლენს ზაზრის მდგომარეობაზე
- ⇒ გამოხატავს ხელობების მდგომარეობას.
- ⇒ უპირატესად მოიცავს მარტივი სამშენებლო პროდუქციას.



**ETA**

- ⇒ ინდივიდუალური სპეციფიკაცია
- ⇒ ამა თუ იმ კონკრეტული პროდუქციისათვის მორგებული
- ⇒ პასუხობს ამა თუ იმ კონკრეტულ ზაზრის მოთხოვნილებებს.
- ⇒ მზარს უკერს ტექნოლოგიურ ინოვაციას
- ⇒ უპირატესად მოიცავს კომპლექსურ და სპეციალურ პროდუქციასა და კომპლექტს.

*ევროპული სტანდარტები და ევროპის ტექნიკური ატესტაციები*

#### **4.1. ევროპული სტანდარტები**

ევროპული სტანდარტები (EN) გამოცემულია ერთ-ერთი ევროპული სტანდარტების ორგანიზაციის მიერ, მაგ: CEN, CENELEC და ETSI, რომლებიც უნდა ჩანაცვლდეს ნაციონალური სტანდარტებით ნაციონალური სტანდარტების ორგანოების მიერ. ევროკოდები გამოცემულია CEN / TC250-ის მიერ.

ევროპული. სტანდარტების კრებული მშენებლობისათვის მოიცავს EN ევროკოდებს დაპროექტებისათვის და სამშენებლო პროდუქციის სტანდარტებს, ასევე შესრულებისა და ტესტირების სტანდარტებს.

ევროპული სტანდარტები მოიცავს შემდეგ სამშენებლო პროდუქციას:

ZA დანართი არის ყველაზე მთავარი სექცია CEN-ის ყველა სამშენებლო პროდუქციის სტანდარტისათვის. იგი მიმართავს ევროკავშირის სამშენებლო პროდუქციის დირექტივის ნორმებს.



- ხის, ქვის / აგურის წყობას, მინისა და ლითონის პროდუქციას;
- მზიდ კონსტრუქციას;
- ბეტონის მზა პროდუქციას;
- ანტისეისმურ მოწყობილობებს;
- ფოლადის არმატურას;
- გზის სანათი ლამპიონებს და გზის სხვა აღჭურვილობას

## 4.2. ევროპის ტექნიკური ატესტაციები

ინოვაციური პროდუქციისათვის, რომელსაც ჰარმონიზებული ევროპული სტანდარტები არ მოიცავს (*მაგ. პროდუქციის სახეობისა და კომპლექსურობიდან გამომდინარე და ა.შ.*), ევროპის ტექნიკური ატესტაცია (ETA) შეიძლება გაიცეს EOTA-ს ერთ-ერთი ატესტაციების ორგანოს მიერ.

CDP აღიარებს ETA-ს როგორც ყველაზე ხელსაყრელ ტექნიკურ შეფასებას ამა თუ იმ კონკრეტული მიზნებისათვის პროდუქციის გამოსადეგობისათვის, რომელიც ითვალისწინებს სამშენებლო სამუშაოებისათვის აუცილებელი მოთხოვნების შესრულებას.

ETAs ეფუძნება შემდეგ ორ შესაძლებლობას:

- ETA-ს მითითებები (ETAG) წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც შედგენილია EOTA-ს საატესტაციო ორგანოების მიერ ევროკომისიისა და EFTA-ს რწმუნებულების საფუძველზე.
- ინდივიდუალური პროდუქციისათვის, რომელსაც ETAG არა აქვს, შესაძლებელია ETA მიენიჭოს, რომელიც წარმოადგენს EOTA-ს ყველა ორგანოებისა და ევროკომისიის შეთანხმების საგანს **შეფასების პროცედურების საერთო გაგებით (CUAP)**, სადაც პროდუქციის შეფასების კრიტერიუმები და მისი გამოყენება არის ვრცლად ფორმულირებული.

ETA მოიცავს შემდეგ სამშენებლო პროდუქციას:

- შენობის ხის კარკასი
- ასაწყობი კიბის კომპლექტი;
- ლურსმით დასამაგრებელი ფოლადის სამ-განზომილებიანი ფირფიტა;
- მზიდი პანელი;
- ნახვრეტებიანი ბლოკები;
- შემდგომი-დაძაბვის სისტემები;
- გზის გადაბმის ნაკერი;
- ხის მსუბუქი სვეტები

ტექნიკური ატესტაციების ევროპული ორგანიზაცია (EOTA) მოიცავს ატესტაციების ორგანოებს ევროპის ტექნიკური ატესტაციებისათვის, რომელთაც გამოსცემს ევროკავშირი წევრი ქვეყნები და EFTA-ს ის სახელმწიფოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ევროპის ეკონომიკური ზონის შეთანხმებას.



- ტიხარი;
- შუქგამტარი სახურავის კომპლექტი.

## 5. შესაბამისობის დამტკიცება

### 5.1. შესაბამისობის დამოწმების სისტემები

სამშენებლო პროდუქციის დირექტივაში შესაბამისობის დამოწმების შემდეგი სისტემებია წინასწარ განსაზღვრული:

- სისტემა 1: პროდუქციის შესაბამისობის სერტიფიცირება აუდიტის ტესტირების გარეშე;
- სისტემა 1+: პროდუქციის შესაბამისობის სერტიფიცირება აუდიტის ტესტირებით;
- სისტემა 2: ქარხნული წარმოების პროდუქციის კონტროლის (FPC) სერტიფიცირება დაკვირვების გარეშე;
- სისტემა 2+: ქარხნული წარმოების პროდუქციის კონტროლის (FPC) სერტიფიცირება ხანგრძლივი დაკვირვებით;
- სისტემა 3: პირველადი ტიპური გამოცდა;
- სისტემა 4: მწარმოებლების დავალებები;

CPD-ის თანახმად „მწარმოებელი, ან მისი წარმომადგენელი უნდა იყოს პასუხისმგებელი რომ პროდუქცია შეესაბამება ტექნიკური სპეციფიკაციების მოთხოვნებს.

	AoS სისტემა			
	1+ 1	2+ 2	3	4
<b>მწარმოებლების დავალებები</b>				
ქარხნული წარმოების პროდუქციის კონტროლი	+	+	+	+
ნიმუშების შემდგომი გამოცდა	+	+	-	-
პირველადი ტიპური გამოცდა	-	-	+	+
<b>ნოტიფიცირებული ორგანოს ამოცანები</b>				
პირველადი ტიპური გამოცდა ;	+	+	-	-
FPC-ის სერტიფიცირება;	+	+	+	+
FPC-ის დაკვირვება;	+	+	-	-
საცდელი ნიმუშების აუდიტი;	+	-	-	-

შესაბამისობის დამოწმების (AoS) ამოცანები.

AoC-ის პროცედურები განმარტებულია კომისიის გადაწყვეტილებებში თითოეული პროდუქციის სახეობისათვის. უპირატესობა ენიჭება ნაკლებად ძნელ პროგრამას, რომელიც არის თავსებადი უსაფრთხოებასთან.

AoC სისტემის არჩევა დამოკიდებულია წარმოების პროცესზე (მაგ. წარმოებაში დევექტებისაგან დაუცველობა), პროდუქციის თვისებებზე (ცვალებადობის გავლენა ექსპლუატაციაზე, პროდუქციის მახასიათებლებზე) და პროდუქციის ნაკლოვანებებზე.

სამშენებლო პროდუქცია	AoC
ცემენტი, ფოლადის არმატურა,	1+
შენობის ხის კარკასი; შენობის ბეტონის კარკასი;	1
შხა ბეტონი; სახურავის ხის ელემენტები;	2+
ტენმედები ჰიდროიზოლაცია;	3
სანიტარული პროდუქცია	4

*სამშენებლო პროდუქციის ნიმუშები და შესაბამისი AoC*

## 5.2. შესაბამისობის შემოწმების მეთოდები

**თავდაპირველი ტიპური გამოცდა / შემოწმება (ITT)** მოიცავს ტესტების მთელ კრებულს ან სხვა პროცედურებს, რომლებიც განსაზღვრავენ ამა თუ იმ პროდუქციის საექსპლუატაციო ღირებულებებს. ეს წარმოდგენილია მეწარმის მიერ და არის იმის მაჩვენებელი, რომ პროდუქციაა შეესაბამება ტექნიკური სპეციფიკაციების მოთხოვნებს.

**ქარხნული წარმოების პროდუქციის კონტროლი (FPC)** გულისხმობს მეწარმის მიერ წარმოებული პროდუქციის მუდმივ კონტროლს. აუცილებელია, რომ მეწარმის მიერ გამოყენებული ყველა ელემენტი, მოთხოვნები და დებულებები, გარკვეული სისტემის მიხედვით დალაგდეს.

**აუდიტორული ტესტირება** ეხება სამშენებლო პროდუქციის შემოწმებას ტექნიკურ სპეციფიკაციებში და ITT-ში მოცემული შემოწმების მეთოდების

შესაბამისად. შემოწმების შედეგები შედარებულია აღიარებული ექსპლუატაციის თვისებებთან და შემდგომ ხდება მოხსენების წარდგენა მასზე, რომ კვლევის შედეგები შეესაბამება ტექნიკური სპეციფიკაციების, ITT, FPC ნორმებს.

**პროდუქციის საექსპლუატაციო ღირებულებების გამოთვლა** ეხება ამა თუ იმ კონკრეტულ პროდუქციას (შემადგენელ ნაწილებსა და კომპლექტებს), რომელიც მოიცავს მექანიკური სიმტკიცეს და სტაბილურობას, ან გამძლეობას ხანძრის მიმართ.

## 6. ნოტიფიცირებული ორგანოები

---

ნოტიფიცირებული ორგანოები წარმოადგენენ შესაბამისი წევრი სახელმწიფოების მიერ აღიარებულ სამართლებრივ ერთეულს, სადაც აუცილებელია მესამე მხარის ჩარევა. განასხვავებენ შემდეგ ორგანოებს

- **მასერტიფიცირებელი ორგანოები**, რომლებიც ახორციელებენ პროდუქციის სერტიფიცირებას ან ქარხნული წარმოების პროდუქციის კონტროლს განსაზღვრული ნორმებისა და პროცედურების შესაბამისად;
- **საინსპექციო ორგანოები**, რომლებიც ახდენენ შეფასებას, ახორციელებენ აუდიტის ხარისხის კონტროლს ამა თუ იმ კონკრეტული კრიტერიუმებით პროდუქციის შერჩევისა თვის და შეფასებისათვის;
- **საცდელი ლაბორატორიები**, რომლებიც ახორციელებენ მასალისა და პროდუქციის საექსპლუატაციო ღირებულებების შეფასებას, გამოცდას, სტანდარტიზაციასა და განსაზღვრას.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეატყობინოს ევროკომისიას და წევრ სახელმწიფოებს, რომ ამა თუ იმ კონკრეტული დირექტივის მიხედვით შეიქმნა კვალიფიციური ორგანო შესაბამისობის შესაფასებლად.

მწარმოებლებს აქვთ უფლება ნოტიფიცირებულ ორგანოთა ჩამონათვალიდან თვითონ აირჩიონ ერთ-ერთი ორგანო შესაბამისობის შესაფასებლად.



ახალი მიდგომის ნოტიფიცირებული ორგანიზაციების ჩამონათვალის ნახვა შესაძლებელია შემდეგ მისამართზე:

<http://ec.europa.eu/enterprise/newapproach/nando>


## 7. CE მარკირება სამშენებლო პროდუქციისათვის

### 7.1 რა არის CE მარკირება?

CE მარკირება სავალდებულოა ნებისმიერი პროდუქციისათვის, რომელიც პერმანენტულად იწარმოება სამშენებლო სამუშაოებისათვის. ის ეფუძნება hEN და ETA-ს და თან ახლავს ტექნიკური ინფორმაცია, მაგ: მიღებული სიდიდეები და კლასები და ა.შ.

CPD-ის თვალსაზრისით, CE მარკირება ნიშნავს იმას, რომ პროდუქცია შეფასებულია hEN და ETA-ს შესაბამისად და მწარმოებელმა გამოიყენა შესაბამისობის დამოწმების პროცედურები.

ევროპის ეკონომიკური ზონის წევრებს არ აქვთ უფლება შეზღუდონ CE მარკირების მქონე პროდუქციის თავისუფალი ბრუნვა, მისი ბაზარზე განთავსება, მსგავსი ზომების გატარება შესაძლებელია მხოლოდ პროდუქციის შეუსაბამობის საფუძველზე.



CE მარკირების მაგალითი მინიმალური ინფორმაციით, მაგ: როდესაც ევროპული სტანდარტების მითითება მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას.

XXX არის სახელი და მისამართი, ან მწარმოებლის მაიდენტიფიცირებელი ნიშანი. 03 არის წელიწადის ბოლო ორი ციფრი, როდესაც CE მარკირების დამატება მოხდა.

ევროპის ეკონომიკური ზონის (EEA) შიდა ბაზარი აერთიანებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს: ისლანდიას, ლიხტენშტაინს და ნორვეგიას, სადაც საქონლის, მომსახურების და კაპიტალის ბრუნვა ხორციელდება თავისუფლად.

*CE მარკირების მაგალითი*

## 7.2. CE მარკირების სარგებელი

CE მარკირება დადებით გავლენას ახდენს კონკურენციაზე და ახდენს მომხმარებლის ინფორმირებას.

შესაძლებლობას აძლევს მწარმოებელს თავისუფლად გაავრცელონ თავიანთი პროდუქცია ევროპის ეკონომიკურ ზონაში.

EEA-თვის არსებობს მოთხოვნებისა და პროცედურების მხოლოდ ერთი კრებული. ეს არის შემცირებული ფასები შესაბამისობის შემოწმებისათვის.

პროდუქციის ტესტირება მესამე მხარის მიერ, განსაკუთრებით დაპროექტების ფაზაში, ეხმარება მწარმოებელს თავიდან აიცილოს ძვირადღირებული გადაწყვეტილებები.

მომხმარებლებს აქვთ პროდუქციისა და მომსახურების ფართო არჩევანი, დაბალი ფასები და ინფორმაციის უდიდესი ხარისხი.

## 8. ნაციონალური ორგანოებისა და მრეწველობის დარგის წარმომადგენელთა დანიშნულება

სამშენებლო პროდუქციის დირექტივის მხარდაჭერით გამოცემულია 500-ზე მეტი ჰარმონიზებული ევროპული სტანდარტები და 600 ევროპის ტექნიკური ატესტაციები. ეს ეხება მარეგულირებელი ორგანოებისა და პრაქტიკოსების სხვადასხვა ქმედებებს.

ნაციონალური ორგანოების დანიშნულებაა:

- ნაციონალური კანონმდებლობისა და ნორმების ადაპტირება;
- ჰარმონიზებული ევროპული სტანდარტების ჩანაცვლება;
- შესაბამისი ევროპული სტანდარტებით ჩანაცვლება, მაგ: ევროკოდებით;
- სახელმწიფო ენაზე ETA-ს მითითებების გამოცემა;
- შესაბამისობის შეფასების ნაციონალური სისტემის ამოღება;
- ატესტაციების ორგანოების შექმნა და ევროკომისიისათვის და სხვა წევრი სახელმწიფოებისათვის ცნობება;

- ბაზრის გამოკვლევა CE მარკირების სწორად გამოყენებისათვის.

მწარმოებლებსა და სამშენებლო ინდუსტრიას ესაჭიროება:

- ამა თუ იმ ქვეყანაში გამოსაყენებელი ტექნიკური სპეციფიკაციებისა და იურიდიული მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის მოძიება;
- პროდუქციისა ადაპტირება მოთხოვნებისათვის;
- ქარხნული წარმოების პროდუქციის კონტროლი;
- საჭიროების შემთხვევაში ნოტიფიცირებული ორგანოების მომსახურების მიღება;
- ინფორმაციის დამოწმება CE მარკირებით;
- მომხმარებლისათვის ტექნიკური მხარდაჭერის აღმოჩენა.

2003 წლის დეკემბრის რეკომენდაციით ევროკომისიამ მოუწოდა წევრ სახელმწიფოებს, რომ „ მიიღონ ევროკოდეზი, როგორც შესაბამისი ინსტრუმენტი სამშენებლო სამუშაოებისათვის, კომპონენტების მექანიკური სიმტკიცის შესამოწმებლად ან კონსტრუქციების სტაბილურობის შესამოწმებლად” და „მიმართონ ევროკოდეზს თავიანთ ნაციონალურ ნორმებში სამშენებლო პროდუქციისათვის”.



გაერთიანებული კვლევითი ცენტრის მიზანია აღმოუჩინოს მომხმარებლებს სამეცნიერო და ტექნიკური მხარდაჭერა ევროკავშირის ნორმატივების კონცეფციებში, შემუშავებაში, დანერგვაში და ევროკავშირის პოლიტიკის მონიტორინგში. ევროკომისიის შემადგენლობაში შემავალი კვლევითი ცენტრი (JRC) არის ევროკავშირის რეფერენტული სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრი, რომელიც პოლიტიკის გატარებასთან ერთად ემსახურება წევრი სახელმწიფოების საერთო ინტერესებს და ფუნქციონირებს კომერციული და ნაციონალური ინტერესებისაგან დამოუკიდებლად.



Publications Office

*Publications.eu.int*